ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ბიქტორ გვეტაძის

ანგარიში

2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე

გაწეული საქმიანობის შესახებ

ქუთაისი

2026 წელი

წინამდებარე ანგარიშით წარმოგიდგენთ ჩემს საქმიანობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, 2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე. ანგარიში მოიცავს საკრებულოს, მისი კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში ჩემს მონაწილეობას, აგრეთვე სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით მხარდაჭერილ პროგრამებსა და ღონისძიებებს.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებად მივიჩნევ სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებს. ამ სფეროებში განხორციელებული ინიციატივები ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობების გაფართოებას, სპორტსმენთა მიღწევების დაფასებას და ქუთაისში აქტიური საზოგადოებრივი და ჯანსაღი სპორტული ცხოვრების განვითარებას.

I. წარმომადგენლობით ორგანოში საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მისი კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში. საკრებულოს სხდომებზე დასწრება და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობა შესაძლებლობას მაძლევდა, ჩართული ვყოფილიყავი ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს 14 სხდომას. ჩემ მიერ საკრებულოს სხდომა არ გაცდენილა. სხდომებზე მონაწილეობას ვიღებდი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის საქმიანობის ფარგლებში დავესწარი კომისიის 16 სხდომას. განხილული საკითხების რაოდენობა 60.

ასევე, ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის 9 სხდომას, რომლებზეც განხილული იყო 13 საკითხი.

ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. ფრაქციის სხდომებში მონაწილეობით ჩართული ვიყავი საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. საანგარიშო პერიოდში დავესწარი ფრაქციის 18 სხდომას, რომელთა ფარგლებშიც განხილული იყო 21 საკითხი.

II. ახალგაზრდობის მიმართულებით საქმიანობა

ჩემს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმე ქუთაისელი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, საერთაშორისო, მოხალისეობრივი და შემოქმედებითი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობასა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ცოდნისა და უნარების გაღრმავება, ისე სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა პროექტები „სამხედრო საქმისა და სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტების თეორიული და სიმულაციური სწავლება“ და „სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი“. აღნიშნული ინიციატივები ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ პრაქტიკული უნარები, მიიღონ ახალი გამოცდილება და აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მხარი დავუჭირე და დავესწარი „ქართული ლიგის“ ჩატარებას, რომელშიც ქუთაისის რვა საჯარო სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, გუნდურ მუშაობასა და ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ახალგაზრდული მიმართულებით ჩემთვის პრიორიტეტულია ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების თვითრეალიზაციას, ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებას, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობას.

III. სპორტის მიმართულებით საქმიანობა

სპორტის მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ სპორტსმენთა მიღწევების აღიარებას, მათი მოტივაციის გაძლიერებას, ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების მხარდაჭერას, ასევე ქუთაისში სპორტული ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარების ხელშეწყობას. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ სპორტში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდეთ სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანებს.

ხელი შევუწყვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტულ ტურნირებში მონაწილეობასა და მათ შორის საქალაქო სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს სპორტის ხელმისაწვდომობასა და მონაწილეთა ჩართულობას.

მხარი დავუჭირე ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონებისთვის სტიპენდიების გაცემას, აგრეთვე საქართველოს ჩემპიონების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებისა და

პრიზიორების, წარმატებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის ფულადი ჯილდოების გადაცემას.

მხარი დავუჭირე ქუთაისში მოღვაწე საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის მოღვაწისა და სპორტის მუშაკის საპატიო წოდების მქონე პირებისთვის ყოველთვიური ფულადი ჯილდოების გაცემას. ამასთან, მხარი დავუჭირე ა(ა)იპ „ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტის“ დაფინანსებას.

სპორტსმენთა მხარდაჭერა მხოლოდ ერთჯერადი წახალისებით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია სპორტული გარემოს განვითარება, შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნა და ისეთი ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლებიც ქუთაისში სპორტული ცხოვრების გააქტიურებას ემსახურება.

IV. 2026 წელს მხარდაჭერილი სპორტული ღონისძიებები და ტურნირები

ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი სპორტული ღონისძიებები:

- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა;
- სასკოლო ლიგა, რომელიც 25 აპრილიდან 25 ივნისის ჩათვლით გაიმართა;
- აკაკი კაკაურიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში, რომელიც 4–9 მაისს ჩატარდა;
- ქუთაისის ღია პირველობა ჩოგბურთში;
- სპორტული ინიციატივა „Eco Smart Flow“;
- ქუთაისის ღია პირველობა ძალისმიერი სპორტის სახეობებში;
- გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ფარგლებში ციფრული მონიტორის განთავსება რეაბილიტირებულ MASTER LEAGUE-ის 7x7 ფეხბურთის მოედანზე.

V. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო ხედვა

საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობა მიმართული იყო ახალგაზრდებისა და სპორტსმენებისთვის შესაძლებლობების გაფართოების, მათი მიღწევების აღიარებისა და ქუთაისში სპორტული და ახალგაზრდული ცხოვრების გაძლიერებისკენ. ახალგაზრდობის მიმართულებით მხარს ვუჭერდი განათლებაზე, საერთაშორისო გამოცდილებაზე, მოხალისეობაზე, შემოქმედებით ინიციატივებსა და ახალგაზრდულ ჩართულობაზე ორიენტირებულ პროექტებს. სპორტის სფეროში კი ყურადღებას ვამახვილებდი სპორტსმენების ფინანსურ წახალისებაზე, ადგილობრივი კლუბებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერასა და სპორტული შეჯიბრებების ჩატარების ხელშეწყობაზე.

მომავალშიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია საკრებულოს, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა, მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული საკითხების განხილვა და ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ქუთაისის განვითარებასა და მოქალაქეთა შესაძლებლობების გაფართოებას ემსახურება. განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ დავუთმობ სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებს.

მიმაჩნია, რომ წარმომადგენლობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სამომავლო გეგმების გაზიარება. ამ პრინციპით ვაგრძელებ მუშაობას ქუთაისის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში პასუხისმგებლიანი მონაწილეობის მიზნით.

ბიქტორ გვეტაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი